



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა

უმადლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში  
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო  
პროგრამებისთვის

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა  
(ნიუ-ჯერსი სიტი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
ადგილზე ვიზიტი - 2026 წლის 27 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

|  |  |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი<br>ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ)                |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი   | შპს კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567<br>ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი - 185129 |
| დაწესებულების სახე   | უნივერსიტეტი   |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

|   |   |
|---|---|
| <b>თავმჯდომარე</b> (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პროფესორი დიბიემ ანანდი,<br>ვესტმინსტერის უნივერსიტეტი,<br>გაერთიანებული სამეფო                                 |
| <b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | დოქტორი სანდრო ტაბატამე, სსიპ - ივანე<br>ჯავახიშვილის სახელობის თბილისის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| <b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | ნათია გეგელაშვილი, შპს აღმოსავლეთ -<br>ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო   |
| <b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | პროფესორი ირმა ქურდამე, სსიპ - სამცხე -<br>ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,<br>საქართველო                     |
| <b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | სალომე ალანია, დარგის ექსპერტი,<br>საქართველო   |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|   |  |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)  | საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის 3 - წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ-ჯერსი სიტი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)   |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)  | International Relations and Politics 3-Year Joint Programme (with New Jersey City University – NJCU, USA)  |
| უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა   | ბაკალავრიატი   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>  | 1. კავკასიის უნივერსიტეტი - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი<br>2. ნიუ-ჯერსი სიტი უნივერსიტეტი (აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი  | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები   |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>  | -  |
| სწავლების ენა   | ინგლისური  |
| ECTS კრედიტების რაოდენობა   | 200  |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი  |

<sup>2</sup>უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

|  |          |
|--|----------|
| <p>პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები<br/>(სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და<br/>სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის<br/>შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა<br/>კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის<br/>შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის<br/>განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)</p> | <p>-</p> |
| <p>დიპლომირებული მედიკოსის<br/>ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო<br/>პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების<br/>მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა</p>  | <p>-</p> |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შესაფასებლად წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ახალია. პროგრამა განხორციელდება ერთობლივად კავკასიის უნივერსიტეტის, კერძო უნივერსიტეტი თბილისში (დაარსდა 2004 წელს), მიერ და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის მიერ, ნიუ-ჯერსი, აშშ.

პროგრამა მოიცავს 200 ECTS კრედიტს (120 კრედიტი აშშ-ში) სამი სასწავლო წლის განმავლობაში: პირველი ორი წელი (150 ECTS კრედიტი) სტუდენტები ისწავლიან კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო მესამე წელს (50 ECTS კრედიტი / 30 კრედიტი აშშ) ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ორმაგ კვალიფიკაციას, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაციას კავკასიის უნივერსიტეტში და ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციას პოლიტიკის მეცნიერებაში ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში.

პროგრამა დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ (ბრძანება N 01/01-84, 04.11.2025). იგი ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტში არსებულ დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება 2009 და 2020 წლებიდან.

პროგრამა მოიცავს 155 კრედიტის მოცულობის ვიწრო სპეციალიზაციის კურსებს (140 კრედიტის სავალდებულო კურსები, 15 კრედიტის არჩევითი კურსები), ასევე, 45 კრედიტის მოცულობის თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს (მათ შორის ინგლისური ენის და მეორე უცხო ენის კურსებს).

პროგრამის გამორჩეული მახასიათებელია ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში განხორციელებული გაეროს ვორქშოპის შემაჯამებელი კურსი, რომელიც დაკავშირებულია ნიუ-იორკში გამართულ გაერთიანებული ერების მოდელირების კონკურსთან, რაც წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ განმასხვავებელ კომპონენტს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდულ ფორმატში, ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი ონლაინ რეჟიმში ესწრებოდა ვიზიტს, დანარჩენები კი იმყოფებოდნენ ადგილზე. ვიზიტი კარგად იყო კოორდინირებული, რამაც უზრუნველყო შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის და მტკიცებულებების შეგროვება.

### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შემუშავებულია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების დეტალური მექანიზმი. სასწავლო გეგმა თანმიმდევრულია, კრედიტების სტრუქტურა გამჭვირვალეა და პროგრამა უზრუნველყოფილია ინსტიტუციური ინფრასტრუქტურით, საბიბლიოთეკო რესურსებით, ინფრამაციული ტექნოლოგიების საშუალებებით და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფისთვის შემაშფოთებელია ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტთან პარტნიორობის მდგრადობის საკითხი, რადგან აღნიშნული დაწესებულება ამჟამად იყოფება კინის უნივერსიტეტთან გაერთიანების პროცესში (პროცესი კანონმდებლობით დამტკიცდა

2026 წლის იანვარში და დასრულდება 2026 წლის ივლისისთვის). თვითშეფასების ანგარიში, რომელიც დათარიღებულია 2025 წლის ნოემბრით, არ მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული გაერთიანების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს შეუძლია ფუნდამენტურად შეცვალოს სწავლების მესამე აკადემიური წელი ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში, ერთობლივი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა და პროგრამის იდენტობა. ვიზიტის დროს, ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა აღნიშნული საკითხი.

#### ▪ რეკომენდაციები

რეკომენდებულია, უსდ - მ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტისგან მოითხოვოს (ან კინის უნივერსიტეტთან გაერთიანების შედეგად მისი უფლებამონაცვლე სუბიექტისგან) წერილობითი გარანტია, რომ მესამე სასწავლო წლის აკადემიური კომპონენტი და ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებაში ხელმისაწვდომი დარჩება აღნიშნული ერთობლივი პროგრამის სტუდენტებისთვის (1.4).

რეკომენდებულია, უსდ - მ განახორციელოს რისკების შეფასება, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით ნიუ ჯერსი სითის და კინის უნივერსიტეტის გაერთიანების ფინანსურ და საოპერაციო შედეგებს, მათ შორის პარტნიორობის შეთანხმების ფინანსურ პირობებს და გაუთვალისწინებელ ხარჯებს (4.5).

#### ▪ რჩევები

1. სასურველია, პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ აისახოს ერთობლივი სტრუქტურის გამორჩეული ღირებულება, ანუ კონკრეტულად თუ რომელი კომპეტენციები ვითარდება იმის შედეგად, რომ სტუდენტები სწავლობენ ორ განსხვავებულ ეროვნულ და ინსტიტუციურ კონტექსტში, გარდა იმისა, თუ რისი მიღწევა არის შესაძლებელი ორივე დაწესებულებაში.
2. სასურველია, უსდ - მ დანერგოს უფრო მეტი განმავითარებელი ელემენტები, რომლებიც პირველივე კურსიდან ეტაპობრივად განავითარებენ პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას (პროგრამის სწავლის შედეგი 7) და არა მხოლოდ დასკვნითი კურსებით. აღნიშნული გააძლიერებს პროგრამის შესაძლებლობას, უზრუნველყოს კურსდამთავრებულების მიერ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერებით გათვალისწინებული სწავლის უნარების (მუხლი 3.6, ე)) და ღირებულებების (მუხლი 3.6, ვ)) მიღწევა, პროგრამის სრული ციკლის განმავლობაში, მდგრადი ჩართულობის გზით.
3. სასურველია, უსდ - მ განსაზღვროს მკაფიო ვადები (მაგალითად, პროგრამის განხორციელების პირველი წლის განმავლობაში) შეფასების მექანიზმის საპილოტე შეფასებისთვის, რომ სრული სამწლიანი ციკლის დასრულებამდე, გამოავლინოს ნებისმიერი გასაუმჯობესებელი მიმართულება.
4. სასურველია, შედარებითი ანალიზი („ბენჩმარკინგი“) მოიცავდეს აშშ-ის სისტემის სულ მცირე ერთ შესადარებელ მაგალითს, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ერთი მესამედი აშშ-ში განხორციელდება და პროგრამა ქართულ კვალიფიკაციასთან ერთად ანიჭებს ამერიკულ კვალიფიკაციას.
5. სასურველია, უსდ - მ უნდა უზრუნველყოს, რომ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი სასწავლო კურსების (მე-3 წელი) სილაბუსები წარმოდგენილი იყოს კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო კურსების ფორმატის

შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიო მითითებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა ევროპული მიდგომის (სტანდარტი 8) გამჭვირვალობისა და დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, და ორივე ინსტიტუციურ გარემოში სწავლის შედეგების თანმიმდევრული შეფასება.

6. სასურველია, უსდ - მ სასწავლო გეგმაში სისტემატურად ასახოს ციფრული დიპლომატიის საკითხები, რომ უკეთ დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნები და გააძლიეროს სტუდენტების ანალიტიკური და სტრატეგიული კომპეტენციები ტექნოლოგიურად მართვად დიპლომატიურ კონტექსტში.
7. სასურველია, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გასაძლიერებლად შემუშავდეს რეგულარული და სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, მაგალითად, პერიოდული ფოკუს ჯგუფები ან ყოველწლიური კონსულტაციები.
8. სასურველია, უსდ - მ პროგრამაში დაამატოს სტრუქტურირებული არჩევითი სტაჟირების კომპონენტი, მაგალითად, ზაფხულში, მეორე და მესამე აკადემიური წლის შუალედში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების ან ნიუ-იორკის/ნიუ-ჯერსის რეგიონში ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის კავშირების მეშვეობით.
9. სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს მოკლე პედაგოგიური ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება, თუ როგორ ხორციელდება სწავლება - სწავლის მიდგომების კოორდინაცია კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის, პედაგოგიური მიდგომების განსხვავებების მითითებით და ამავდროულად სტუდენტის გამოცდილების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.
10. სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს ქულების ეკვივალენტობის მკაფიო ცხრილი და კრედიტების ტრანსფერის წესი, რომელიც დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის და რომელშიც განმარტებული იქნება, თუ როგორ ხდება კავკასიის უნივერსიტეტში დაგროვილი ქულების აღიარება ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის ნიშნების ფურცელში და პირიქით.
11. სასურველია, უსდ - ს კარიერული განვითარების ცენტრმა დაწეროს ჩართულობის უფრო სტრუქტურირებული და პროაქტიული მიდგომა რეგულარული, კარგად ორგანიზებული აქტივობების გამოყენებით, როგორცაა კარიერული სემინარები, დამსაქმებელთა ქსელების ღონისძიებები და თემატური პანელური დისკუსიები. გარდა ამისა, ელექტრონული ფოსტის მიღმა უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს დამატებითი საკომუნიკაციო არხები, როგორცაა ინტერაქტიული პლატფორმები, მენტორობის სქემები და ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციები.
12. სასურველია, უსდ - მ ჩაატაროს შრომის ბაზრის საჭიროებების და მოთხოვნების უფრო ხშირი ანალიზი და შეიმუშავოს პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი) უწყვეტი კომუნიკაციის მექანიზმი სულ მცირე წელიწადში ერთხელ, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტები შესაბამისი ინფორმაციით.
13. სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში მესამე წელს სწავლის გაგარძელების დამხმარე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიზის/იმიგრაციის, საცხოვრებლის, პარტნიორ დაწესებულებაში ორიენტაციის, მიმდინარე პასტორალური მხარდაჭერის მექანიზმები და ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ ყოფნისას.
14. სასურველია, პროგრამის მდგარდობის და აკადემიური უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, უსდ - მ დააბალანსოს აკადემიური პერსონალის შემადგენლობა და ეტაპობრივად გაზარდოს აფილირებული პერსონალის წევრების რაოდენობა და თანაფარდობა.

15. სასურველია, უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში, უსდ - მ უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების გამოქვეყნების და საერთაშორისო აკადემიური ხილვადობის უფრო სისტემატური მხარდაჭერა და მონიტორინგი.
16. სასურველია, პარტნიორობის აკადემიური განზომილების გასაძლიერებლად, უსდ - მ შეიმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის პერსონალის განვითარების ერთობლივი აქტივობები, როგორცაა თანამშრომლობითი სასწავლო ვორქშოფები ან ერთობლივი კვლევითი სემინარები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ის შემუშავებულია 2009 წლიდან საჯარო მმართველობის სკოლაში მოქმედ, მაგრამ განსხვავებულ პროგრამებზე დაყრდნობით. პროგრამის სტატუსიდან გამომდინარე, ამჟამად, პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული, ასევე, აფილირებული აკადემიური პერსონალის და ჩარიცხული სტუდენტების თანაფარდობა არ არის რელევანტური, თუმცა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთო რაოდენობა დამაკმაყოფილებელია და საკმარისია. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის (14) და მოწვეული პერსონალის (20) თანაფარდობა 7:10-ია. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი ინდექსი ბოლო 5 წლის განმავლობაში 117-ია, რაც მოიცავს 40 პუბლიკაციას საერთაშორისო ჟურნალებში და 21 პუბლიკაციას ადგილობრივ ჟურნალებში.

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>4</sup>**

გაეროს ვორქშოვის შემაჯამებელი კურსი ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში წარმოადგენს ინტეგრირებული სწავლების გამორჩეულ გამოცდილებას, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებში გამოყენებითი სწავლების საუკეთესო მოდელად, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის (ან მისი უფლებამონაცვლის) მიერ.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხი დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, სადაც უსდ-ს წარმომადგენლები ეხმიანებიან ორ რეკომენდაციას (1.4 და 4.5); ორივე რეკომენდაცია დაკავშირებულია პარტნიორი ინსტიტუციის შერწყმასთან და, შესაბამისად, მისი სტატუსის ცვლილებასთან — New Jersey City University-Kean University-დან Kean University-ად.

როგორც დასკვნის პროექტშია აღნიშნული, New Jersey City University-ის წარმომადგენლების მიერ ვიზიტის დროს გაკეთებულმა ზეპირმა განმარტებებმა ექსპერტებს გარკვეულწილად შეუქმნა ნდობის საფუძველი, თუმცა რეკომენდაციების გაცემა მაინც საჭიროდ იქნა მიჩნეული, რადგან შეფასების პროცესამდე წარმოდგენილ წერილობით მასალებში ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილება და მისი შესაძლო გავლენის შემამსუბუქებელი ღონისძიებები სათანადოდ არ იყო ასახული.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ეფუძნება ვიზიტის დროს მიღებულ ზეპირ განმარტებებს, ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებს, ასევე New Jersey City University-Kean University-ის ხელმძღვანელის წერილს, რათა დასაბუთდეს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები უკვე შესრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ წერილი და წარმოდგენილი განმარტებები დამაჯერებელია, საბოლოო დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფი ორი მიზეზის გამო რეკომენდაციების დატოვებას მაინც მიზანშეწონილად მიიჩნევს:

ა) New Jersey City University-Kean University-ის წერილი დათარიღებული არ არის და ექსპერტთა ჯგუფი არ არის ვალდებული, ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიღოს;

ბ) ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საბჭო იყოს ინფორმირებული ამ რეკომენდაციების შესახებ და თავად ჩამოაყალიბოს საკუთარი შეფასება —

<sup>4</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა ამ საკითხის საბჭოს ყურადღების მიღმა დატოვება.

არაფორმალურად, წერილი და წარმოდგენილი არგუმენტაცია მნიშვნელოვანწილად დამაჯერებელია, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეკომენდაციას უცვლელი რჩება, რათა საბჭომ აღნიშნულ საკითხზე საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

### III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

|     | სტანდარტი  | შეფასება                        |
|-----|--|---------------------------------|
| 1.  | <b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>                         | შესაბამისობაშია                 |
| 1.1 | <a href="#">პროგრამის მიზნები</a>  | შესაბამისობაშია                 |
| 1.2 | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 1.3 | <a href="#">პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</a>  | შესაბამისობაშია                 |
| 1.4 | <a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>  | მეტწილად შესაბამისობაშია        |
| 1.5 | <a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>  | შესაბამისობაშია                 |
| 2.  | <b>სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>                             | შესაბამისობაშია                 |
| 2.1 | <a href="#">პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 2.2 | <a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</a> | შესაბამისობაშია                 |
| 2.3 | <a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>  | შესაბამისობაშია                 |
| 2.4 | <a href="#">სტუდენტების შეფასება</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 3.  | <b>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>   | შესაბამისობაშია                 |
| 3.1 | <a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 3.2 | <a href="#">მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა</a>  | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 4   | <b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>   | შესაბამისობაშია                 |
| 4.1 | <a href="#">ადამიანური რესურსი</a>   | შესაბამისობაშია<br>მოთხოვნებთან |
| 4.2 | <a href="#">მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</a>   | აირჩიეთ შესაბამისი              |
| 4.3 | <a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a>                               | შესაბამისობაშია                 |
| 4.4 | <a href="#">მატერიალური რესურსი</a>  | შესაბამისობაშია                 |
| 4.5 | <a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>                               | მეტწილად შესაბამისობაშია        |
| 5   | <b>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>  | შესაბამისობაშია                 |
| 5.1 | <a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 5.2 | <a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>   | შესაბამისობაშია                 |
| 5.3 | <a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a>  | შესაბამისობაშია                 |

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე  
შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ერთობლივი პროგრამააერთიანებს ოთხ მიზანს: I. მისცეს სტუდენტებს კომპლექსური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში, II. აღჭურვოს სტუდენტები მმართველობის, დიპლომატიისა და გლობალური პოლიტიკის თეორიების, პრინციპებისა და პრაქტიკის ფუნდამენტური ცოდნით, III. განუვითაროს სტუდენტებს კვლევითი, ანალიტიკური და პროფესიული კომუნიკაციის უნარები რამდენიმე ენაზე და IV. მოამზადოს კონკურენტული, პრაქტიკაზე ორიენტირებული სპეციალისტები, რომლებიც იცავენ უნივერსალურ დემოკრატიულ ღირებულებებს. აღნიშნული მიზნები თანმიმდევრულად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამის დოკუმენტში - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1) და დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების ფარგლებში.

საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უმაღლესი განათლების მიზანია „ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია“, „პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება“ და „შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა“ პროგრამის მიზნები პასუხობს საკანონმდებლო მოთხოვნებს: მიზანი I და II შეესაბამება ცოდნის და კულტურული განვითარების მოთხოვნებს, მიზანი III, ავითარებს თანამედროვე პროფესიული მოთხოვნების შესაბამის კომპეტენციების, ხოლო მიზანი IV ეხება კონკურენტუნარიანობას და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას.

ზემოაღნიშნული კანონის 49<sup>1</sup> მუხლის და მე-2 მუხლის ზ<sup>59</sup> ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)სა და/ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა, მისი ორმაგი ხარისხის გათვალისწინებით, ასევე, უნდა შეფასდეს ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული

მიდგომის მიხედვით (დამტკიცებული 2015 წლის მაისში EHEA მინისტრების მიერ). ევროპული მიდგომის სტანდარტი 1.1 მოითხოვს, რომ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები „აღიარებული იყვნენ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების მიერ" და რომ „მათი შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა საშუალებას აძლევდეს მათ მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ პროგრამაში და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გასცენ ერთობლივი ხარისხი." კავკასიის უნივერსიტეტი (ავტორიზებული საქართველოში) და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აკრედიტებული აშშ-ში) აკმაყოფილებენ აღნიშნულ მოთხოვნას; თუმცა, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის და კინის უნივერსიტეტის გაერთიანების შედეგად, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის მიერ ხარისხის მინიჭების შესაძლებლობის საკითხი და ამ გარემოების ზეგავლენა განხილულია დასკვნის 1.4 კომპონენტში.

მეტიც, ევროპული მიდგომის სტანდარტი 1.2 მოითხოვს, რომ ერთობლივი პროგრამა „შეთავაზებული უნდა იყოს ერთობლივად და განმახორციელებელი ყველა დაწესებულება ჩართული უნდა იყოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში." თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის დოკუმენტი და ვიზიტის ფარგლებში მიღებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა ორივე დაწესებულება. კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდება I-II აკადემიური წლები, ხოლო ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში III აკადემიური წელი. პროგრამის შემუშავების თანამშრომლობითი პროცესი ასევე მოიცავდა გარე შეფასებებს, რაც განხორციელდა სენდ-ენდრიუსის უნივერსიტეტის და ბაბემ-ბოლიაის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ.

პროგრამის ოთხი მიზანი მოიცავს სრულ სპექტრს, კერძოდ, საბაზისო ცოდნიდან (მიზნები I, II) გამოყენებითი უნარების განვითარებას (მიზანი III), ღირებულებებს და პროფესიულ მზაობას (მიზანი IV მიზანი), რაც შეესაბამება აღნიშნული სფეროს პირველი საფეხურის პროგრამას. პროგრამის მიზნებში სათანადოდ არის განსაზღვრული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, კანონის მე-48 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც „ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით“. პროგრამის მიზნები ასევე აქცენტს აკეთებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე და პროფესიული საქმიანობისთვის მომზადებაზე, რაც პასუხობს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო მოთხოვნას.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ასახავს სფეროს სპეციფიკას, კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების დონეს, ასევე, ერთობლივ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ევროპული სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის აქცენტი ენობრივ, კულტურათაშორის კომპეტენციებზე და დამოუკიდებელ კვლევაზე, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა მზაობას როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. იგივე ითქმის ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტზეც, რაც დადასტურდა დოკუმენტებით და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. შესაბამისად, პროგრამა სტრატეგიული მნიშვნელობისაა ორივე საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. თვითშეფასების ანგარიშში და ვიზიტის

ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, განსაზღვრულია შრომის ბაზრის ის კონკრეტული სეგმენტი, რომელზეც პროგრამაა ორიენტირებული. პროგრამის მიზნები და შესაბამისი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშით და პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები შემუშავდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის სექტორებს. აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყანაში ამჟამად არ ხორციელდება ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ერთდროულად ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკური მეცნიერებების კვალიფიკაციას. აღნიშნული სფეროების ინტეგრაცია ასახულია პროგრამის მიზნებშიც.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, კომპონენტი 1.1;
- პროგრამა (პროგრამის მიზნები);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1), ნაწილი IV (მიზნებს და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა);
- კავკასიის უნივერსიტეტის მისია (მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში);
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლები 3, 48 და 49<sup>1</sup>;
- ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა, სტანდარტები 1.1 და 1.2;
- ადგილზე ვიზიტი.

### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ აისახოს ერთობლივი სტრუქტურის გამორჩეული ღირებულება, ანუ კონკრეტულად თუ რომელი კომპეტენციები ვითარდება იმის შედეგად, რომ სტუდენტები სწავლობენ ორ განსხვავებულ ეროვნულ და ინსტიტუციურ კონტექსტში, გარდა იმისა, თუ რისი მიღწევა არის შესაძლებელი ორივე დაწესებულებაში.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი            | შეფასება        |
|-----------------------|-----------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა განსაზღვრავს შვიდ სწავლის შედეგს სამ კატეგორიაში: ცოდნა (პროგრამის სწავლის შედეგი 1–3), უნარები (პროგრამის სწავლის შედეგი 4–6) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (პროგრამის სწავლის შედეგი 7). აღნიშნული შედეგები თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი შესწავლილ დოკუმენტებში და ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის ოთხი მიზნიდან. თვითშეფასების ანგარიშის და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის სფეროში მიმდინარე უახლეს მოვლენებს და გლობალური პოლიტიკის ცვალებად მოთხოვნებს. ასევე დადასტურდა, რომ პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების მჭიდრო თანამშრომლობით, მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით.

სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე - 3 მუხლის მიხედვით, რომელიც უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურისთვის ადგენს კვალიფიკაციის აღმწერებს. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, პირველი საფეხურის (საბაკალავრო) პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს ექვს კრიტერიუმს: ა) ცოდნა და გაცნობიერება - სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; გ) დასკვნის უნარი - სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; დ) კომუნიკაციის უნარი - იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; ე) სწავლის უნარი — საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და ვ) ღირებულებები — ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

პროგრამის შვიდი სწავლის შედეგის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებთან: პროგრამის სწავლის შედეგი 1–3 (საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, ქართული და ამერიკის პოლიტიკური სისტემების და გლობალური მმართველობის სტრუქტურების ცოდნა) შეესაბამება აღმწერს ა); პროგრამის სწავლის შედეგი 4–5 (კვლევის მეთოდები, პროფესიული კომუნიკაცია რამდენიმე ენაზე) შეესაბამება აღმწერებს ბ), გ) და დ);

ე) პროგრამის სწავლის შედეგი 6 (გამოყენებითი პრობლემის გადაჭრა დიპლომატიურ და პოლიტიკურ კონტექსტში) შეესაბამება აღმწერს ვ); პროგრამის სწავლის შედეგი 7 (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ეთიკური ქცევის და პროექტზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩათვლით) შეესაბამება აღმწერებს ზ), თ). წარმოდგენილი შესაბამისობა ზოგადად ყოვლისმომცველია.

გარდა ამისა, ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის მე - 2 სტანდარტის შესაბამისად, „მოსალოდნელი სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (FQ-EHEA) შესაბამის დონეს, ასევე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო(ებ)ს" (სტანდარტი 2.1) და ისინი უნდა „მოიცავდეს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს შესაბამის დარგობრივ სფერო(ებ)ში" (სტანდარტი 2.2). პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებენ ორივე მოთხოვნას: ისინი ჩამოყალიბებულია „ბლუმის ტაქსონომიის“ შესაბამისი აქტიური ზმნების გამოყენებით (განმარტავს, განსაზღვრავს, განასხვავებს, ანალიზებს, გადასცემს, იყენებს, გეგმავს), რაც უზრუნველყოფს გაზომვადობას და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-VI დონეს.

ევროპული მიდგომა ასევე მოითხოვს (სტანდარტი 2.3), რომ „პროგრამამ უნდა შეძლოს აჩვენოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევა." ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, აღიშნული მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დიზაინის მეშვეობით (იხილეთ კომპონენტი 1.3).

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს პროგრამაში სწავლის შედეგების განაწილებაზე. პროგრამის სწავლის შედეგი 1–6 ეხება სხვადასხვა სასწავლო კურსებს სამივე აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამის სწავლის შედეგი 7 (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) კი, როგორც ჩანს, ეხება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც კონცენტრირებულია მესამე აკადემიურ წელს ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება გასაგებია, რადგან მესამე აკადემიური წელი შემაჯამებელია - (განსაკუთრებით, გაეროს ვორქშოპი), ეს ნიშნავს, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერებით გათვალისწინებული სწავლის უნარების კომპეტენციები: „საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი შეფასების უნარი; შემდგომი სასწავლო საჭიროებების გამოვლენის უნარი" (მუხლი 3.6, ე) და ღირებულებები „ღირებულებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის და მათი დამკვიდრებისკენ სწრაფვის უნარი" (მუხლი 3.6 ვ) — ძირითადად მიიღწევა პროგრამის დასასრულს - შეზღუდული რაოდენობის სასწავლო კურსებით და არავიდრე სამივე აკადემიური წლის განმავლობაში.

დოკუმენტების შესწავლით და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა ორივე უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით. ინსტიტუციური თანამშრომლობის გარდა, სწავლის შედეგების, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების, ასევე, სასწავლო გეგმის რუკების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის პროგრამის აკადემიური პერსონალის გუნდი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნული პროცესი გარე შეფასებამდე მოიცავდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შემოწმებას.

სწავლის შედეგები ეფუძნება პროგრამის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ საგანმანათლებლო ჩარჩოს. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიში მოიცავდა პროგრამის

მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკას. ინტერვიუს ფარგლებში, დაისვა დამატებითი კითხვები დოკუმენტაციის სიზუსტის დასადასტურებლად. მთლიანობაში, სწავლის შედეგები აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში, კომპონენტი 1.2;
- პროგრამის დოკუმენტი (სწავლის შედეგები);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1);
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, მუხლი 3.6 (პირველი საფეხურის აღმწერები);
- ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა, სტანდარტები 2.1, 2.2 და 2.3;
- ვიზიტი.

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, უსდ - მ დანერგოს უფრო მეტი განმავითარებელი ელემენტები, რომლებიც პირველივე კურსიდან ეტაპობრივად განავითარებენ პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას (პროგრამის სწავლის შედეგი 7) და არა მხოლოდ დასკვნითი კურსებით. აღნიშნული გააძლიერებს პროგრამის შესაძლებლობას, უზრუნველყოს კურსდამთავრებულების მიერ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერებით გათვალისწინებული სწავლის უნარების (მუხლი 3.6, ე) და ღირებულებების (მუხლი 3.6, ვ) მიღწევა, პროგრამის სრული ციკლის განმავლობაში, მდგრადი ჩართულობის გზით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                     | შეფასება        |
|--|-----------------|
| <a href="#">1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</a> | შესაბამისობაშია |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დეტალურად არის წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტებში. მექანიზმი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ (სტუდენტების მოსწრების მონიტორინგი სავალდებულო კურსებში), ისე არაპირდაპირ შეფასებას (ჩარიცხვის დინამიკა, დასრულების მაჩვენებლები, მობილობის მონაცემები, კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები).

პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია მკაფიოდ არის განსაზღვრული: სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ რეგისტრირებული სტუდენტების სულ მცირე 80% (ან სულ მცირე 10 სტუდენტი) აღწევს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს და იღებს შესაბამის კრედიტებს. რამდენიმე ჯგუფის შედეგები დაანგარიშებულია საშუალო არითმეტიკულით. დაკვირვების გეგმა თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრავს სემესტრს, სასწავლო კურსს და შეფასების კომპონენტებს (ტესტები, გამოცდები, ესეები, პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდები) 2026 წლის შემოდგომის სემესტრიდან. დანართი 1 - ში წარმოდგენილი სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუბრიკები ყოვლისმომცველია და სასწავლო კურსების მეშვეობით პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად მოიცავს ოთხდონიან აღმწერებს (არასაკმარისი, საკმარისი, კარგი, ფრიადი).

ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის სტანდარტი 2.3 მოითხოვს, რომ „პროგრამამ უნდა შეძლოს აჩვენოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევა.“ სტანდარტი 9 შესაბამისად, პარტნიორმა დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ ერთობლივი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ESG-ის პირველი ნაწილის შესაბამისად.“ ევროპული მიდგომის სტანდარტი 5.2 მოითხოვს, რომ „გამოცდების ჩატარების და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესები უნდა შეესაბამებოდეს მოსალოდნელ სწავლის შედეგებს“ და რომ „ისინი თანმიმდევრულად უნდა იყოს გამოყენებული პარტნიორი დაწესებულებების მიერ.“ თვითშეფასების ანგარიშში და დანართ 1-ში აღწერილი მექანიზმი შემუშავებულია სწორედ ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად: მასში განსაზღვრულია გაზომვადი ზღვრები, დადგენილია კონკრეტულ კურსებთან და სემესტრებთან დაკავშირებული დაკვირვების გეგმები და რუბრიკები, რომლებიც თანმიმდევრულად იქნება გამოყენებული პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, კერძოდ, 63(2)(ა) მუხლის თანახმად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტია „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“. 25 - ე მუხლი კი მოითხოვს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმი მოიცავს ჩარჩოს ზემოხსენებული შეფასებისთვის.

თუმცა, მიმდინარე ეტაპზე, გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა ახალია შეუძლებელია მექანიზმის განხორციელების ეფექტურობის შეფასება. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული მექანიზმი წარმოდგენილია როგორც „კარგად ორგანიზებული, შედეგზე ორიენტირებულ სისტემა“, რაც უფრო სამომავლო გეგმაა და არა დადასტურებული ფაქტი. ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ ეს თავდაჯერებულობა მომდინარეობს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამებში დაგროვილი გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან, თუმცა, ამ პროგრამასთან მიმართებით ეს მექანიზმი ჯერ არ ამოქმედებულა, ერთობლივი პროგრამის კონტექსტში. ევროპული მიდგომის აქცენტი ერთობლივი ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესებზე (სტანდარტი 9) განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის ინსტიტუციათაშორის განზომილებას. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რჩევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 7);
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლები 25, 63);
- ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა, სტანდარტები 2.3, 5.2 , 9;
- ადგილზე ვიზიტი.

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, უსდ - მ განსაზღვროს მკაფიო ვადები (მაგალითად, პროგრამის განხორციელების პირველი წლის განმავლობაში) შეფასების მექანიზმის საპილოტე შეფასებისთვის, რომ სრული სამწლიანი ციკლის დასრულებამდე, გამოავლინოს ნებისმიერი გასაუმჯობესებელი მიმართულება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი   | შეფასება        |
|--|-----------------|
| <b>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</b> | შესაბამისობაშია |

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების წესის“ შესაბამისად (დამტკიცებულია 2024 წლის ოქტომბერში), რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავების, დამტკიცების და ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურირებულ პროცესებს.

აღნიშნული წესი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებლებთან კონსულტაციას, გარე ექსპერტების შეფასებას და შედარებით ანალიზს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ყველა ეს პროცესი შესრულებულია.

**კრედიტების სტრუქტურა.** საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, კერძოდ 46(2)(ა) მუხლის თანახმად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა „მოიცავდეს სულ მცირე 240 კრედიტს.“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (მუხლი 2.5) თანახმად: „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მოცულობა შეადგენს სულ მცირე 240 კრედიტს.“ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 200 კრედიტს 3 წლის განმავლობაში. კანონის 46(2<sup>1</sup>) მუხლი ადგენს, რომ „საგანმანათლებლო პროგრამა 1 სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს“. ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტი 3 მოითხოვს, რომ „ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემა (ECTS) სწორად იყოს გამოყენებული და კრედიტები განაწილებული იყოს მკაფიოდ“ (სტანდარტი 3.2), ხოლო „ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ჩვეულებრივ მოიცავს სტუდენტის 180–240 კრედიტიან სრულ დატვირთვას“ (სტანდარტი 3.3). 200 კრედიტიანი მოცულობა აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტის მოთხოვნებს. კანონის 49<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, პროგრამა სტრუქტურირებულია, როგორც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებს ორმაგ კვალიფიკაციას: კავკასიის უნივერსიტეტი ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაციას, ხოლო ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციას პოლიტიკის მეცნიერებაში. კრედიტების სტრუქტურა ასახავს ორმაგი კვალიფიკაციის დიზაინს, სადაც თითოეული დაწესებულების კრედიტების მოთხოვნები მოქცეულია შესაბამისი ეროვნული ჩარჩოების ფარგლებში.

**პროგრამის სტრუქტურა.** პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული: 200 კრედიტი 3 წლის (6 სემესტრის) განმავლობაში, წელიწადში 75 კრედიტი კავკასიის უნივერსიტეტში (I–IV სემესტრები) და 50 კრედიტი ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში (V–VI სემესტრები). სასწავლო გეგმა მოიცავს სპეციალობის სავალდებულო კურსებს (155 კრედიტი: 140 სავალდებულო + 15 არჩევითი) და თავისუფალი კომპონენტის კურსებს (45 კრედიტი: 15 საუნივერსიტეტო სავალდებულო + 10 ინგლისური + 20 მეორე უცხო ენა). კრედიტების განაწილება თანმიმდევრულად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის დოკუმენტში.

სასწავლო გეგმა მიჰყვება ცოდნის დაგროვების ლოგიკურ პრინციპს. პირველი აკადემიური წელი მოიცავს საბაზისო კურსებს (თანამედროვე აზროვნება, ცივილიზაცია, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, სტატისტიკური მსჯელობა, სოციალური ფსიქოლოგია). მეორე აკადემიური წელი აღრმავებს თეორიულ და რეგიონულ სპეციალიზაციას (საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, საერთაშორისო უსაფრთხოება, ევროკავშირის ინსტიტუტები, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი). მესამე აკადემიური წელი, რომელიც ხორციელდება ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში სტუდენტებს სთავაზობს ამერიკულ და გლობალურ პერსპექტივებს (აშშ-ის პოლიტიკა, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა, საერთაშორისო პოლიტიკური

ეკონომიკა, სამოქალაქო თავისუფლებები, გაეროს სემინარის შემაჯამებელი კურსი). წინაპირობები განსაზღვრულია საჭიროების შესაბამისად. აღნიშნული პროგრესია შეესაბამება ევროპული მიდგომის 3.1 სტანდარტს, რომელიც მოითხოვს, რომ „სასწავლო გეგმის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მიერ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.“

**ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება.** ევროპული მიდგომის 1.3 სტანდარტი მოითხოვს, რომ „ერთობლივი პროგრამის ვადები და პირობები გაწერილი იყოს ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებაში“, რომელიც უნდა მოცავდეს: მისანიჭებელი კვალიფიკაცი(ებ)ის სახელწოდებას, პარტნიორების კოორდინაციას და პასუხისმგებლობებს მენეჯმენტის და ფინანსური უზრუნველყოფის მხრივ, პროგრამაზე მიღების და შერჩევის პროცედურებს, სტუდენტების და პედაგოგების მობილობას, გამოცდის ჩატარების წესს, კრედიტების აღიარების და ხარისხის მინიჭების პროცედურებს. პროგრამა განხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მოიცავს ზემოჩამოთვლილ ელემენტებს.

**შედარებითი ანალიზი.** პროგრამა შედარებულ იქნას ხუთ საერთაშორისო უნივერსიტეტთან (LSE, SOAS, ქუინსი ბელფასტი, ბირმინგემი, Forward College) და დადგინდა მათთან პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისობა. განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება სენტ ენდრიუსის და ბაბემ ბოლიაის უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ, რომლებმაც თავიანთ ანგარიშებში დადებითად შეაფასეს პროგრამა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეშფოთება ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის და კინის უნივერსიტეტის გაერთიანებასთან დაკავშირებით.** აღსანიშნავია, რომ 2026 წლის იანვარში, ნიუ-ჯერსის შტატის საკანონმდებლო ორგანომ ოფიციალურად დაამტკიცა უნივერსიტეტის გაერთიანება კინის უნივერსიტეტთან, რაც უნდა დასრულდეს 2026 წლის ივლისამდე. თუ ნიუ ჯერსი უნივერსიტეტი შეწყვეტს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულება, პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მესამე აკადემიური წლის ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში განხორციელებას და პოლიტიკის მეცნიერებაში ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებას, შეიძლება არსებითად შეიცვალოს. აღნიშნულს პირდაპირი გავლენა ექნება ევროპული მიდგომის 1.1 სტანდარტთან შესაბამისობაზე, რაც მოითხოვს, რომ პარტნიორი დაწესებულებები „აღიარებული უნდა იყვნენ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების მიერ“ და რომ „მათი შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა საშუალებას უნდა აძლევდეს მათ მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ პროგრამაში და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გასცენ ერთობლივი ხარისხი.“ აღნიშნული ასევე იმოქმედებს 1.3 კომპონენტთან შესაბამისობაზეც (ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება), ვინაიდან არსებულმა მოვლენებმა შეიძლება შეცვალოს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის სამართლებრივი სტატუსი.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 49<sup>1</sup>(3) მუხლის თანახმად, ერთობლივი პროგრამის განხორციელება განმახორციელებელი დაწესებულებებისგან მოითხოვს ხელშეკრულებას, ხოლო „ხელშეკრულების პროექტი უნდა შეთანხმდეს

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან." პარტნიორი დაწესებულების სტატუსის ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ან არსებულის ცვლილებას.

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც დათარიღებულია 2025 წლის ნოემბრით, არ მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული გაერთიანების შესახებ, მიუხედავად არსებული საფრთხისა, რომელმაც შესაძლოა არსებითად შეცვალოს მესამე აკადემიური წლის განხორციელება, კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა და პროგრამის იდენტობა. პარტნიორი დაწესებულების მიერ გარანტიის წარმოდგენა უზრუნველყოფს ევროპული მიდგომის ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან (სტანდარტი 1.1), ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების მოთხოვნებთან (კომპონენტი 1.3) და საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 49<sup>1</sup> მუხლთან შესაბამისობას, რაც გულისხმობს მოქმედ ხელშეკრულებას განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში, პარტნიორ დაწესებულებებთან გამართა ფართო დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღო გარანტია პარტნიორობის გაგრძელების შესახებ, უფლებამონაცვლე სუბიექტის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ფორმალური, წერილობითი გარანტიის წარმოდგენა.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში, კომპონენტი 1.4;
- პროგრამის დოკუმენტი (სასწავლო გეგმა, კურსების სემესტრული განაწილება);
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- შედარებითი ანალიზი (მითითებული თვითშეფასების ანგარიშის 5.2 კომპონენტში);
- გარე ექსპერტების შეფასების ანგარიშები სენტ-ენდრიუს და ბაბემ-ბოლიაის უნივერსიტეტებიდან;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლები 46, 48, 49<sup>1</sup>;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, მუხლები 2.5, 4.2;
- ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა, სტანდარტები 1.1, 1.2, 1.3, 3.1, 3.2, 3.3.
- ონლაინ კვლევა, რომელიც ადასტურებს ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის და კინის უნივერსიტეტის გაერთიანებას (გუბერნატორ მერფის კანონმდებლობა, 2026 წლის იანვარი);
- ადგილზე ვიზიტი.

### **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, უსდ - მ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტისგან მოითხოვოს (ან კინის უნივერსიტეტთან გაერთიანების შედეგად მისი უფლებამონაცვლე სუბიექტისგან) წერილობითი გარანტია, რომ მესამე სასწავლო წლის აკადემიური კომპონენტი და ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებაში ხელმისაწვდომი დარჩება აღნიშნული ერთობლივი პროგრამის სტუდენტებისთვის (1.4).

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, შედარებითი ანალიზი („ბენჩმარკინგი“) მოიცავდეს აშშ-ის სისტემის სულ მცირე ერთ შესადარებელ მაგალითს, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ერთი მესამედი აშშ-ში განხორციელდება და პროგრამა ქართულ კვალიფიკაციასთან ერთად ანიჭებს ამერიკულ კვალიფიკაციას.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი  | შეფასება                 |
|---|--------------------------|
| <a href="#">1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a> | მეტწილად შესაბამისობაშია |

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზი მიუთითებს, რომ სასწავლო გეგმის კურსები თანმიმდევრულია, სისტემურად ორგანიზებული და შეესაბამება როგორც პროგრამის, ასევე, კურსის დონის სწავლის შედეგებს. ცალკეული აკადემიური კურსებისა და საგნების სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და აჩვენებს თანმიმდევრულობას პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს თითოეული კომპონენტის მნიშვნელოვან წვლილს სწავლის ძირითადი სფეროს ფარგლებში დაგეგმილი კომპეტენციების განვითარებაში.

თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის მიერ განცხადებულ სწავლის შედეგებს, რაც ასახავს ლოგიკურ და კარგად ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას. კურსებს შორის კრედიტების განაწილება, როგორც ჩანს, საგნის მასშტაბისა და სირთულის პროპორციულია; კურსების უმეტესობას ენიჭება 5 ECTS კრედიტი, რაც შეესაბამება სტანდარტულ აკადემიურ პრაქტიკას. გარდა ამისა, საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლას შორის ბალანსი ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული კურსის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, საკმარისი სასწავლო ჩართულობის უზრუნველყოფით.

შეფასების მექანიზმები ყოვლისმომცველია; თითოეული კურსის თითოეული სწავლის შედეგი ექვემდებარება შეფასებას შესაბამისი მეთოდებით. ეს მიუთითებს სტუდენტის მოსწრების გაზომვისადმი სისტემურ მიდგომაზე და უზრუნველყოფს მოსალოდნელი კომპეტენციების ეფექტურად კონტროლირებასა და დადასტურებას.

პროგრამის დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ყველა კურსი მკაფიოდ არის ჩამოთვლილი შესაბამისი კოდებით, ECTS კრედიტებით, წინაპირობებითა და სემესტრული განაწილებით. თითოეული კურსის სილაბუსი ხელმისაწვდომია და მოიცავს ისეთ აუცილებელ კომპონენტებს, როგორცაა კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და საჭირო ლიტერატურა. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ასახავს სფეროში მიმდინარე მოვლენებს. მნიშვნელოვანია, რომ ისინი მოიცავენ ბოლოდროინდელ სამეცნიერო სიახლეებს და ითვალისწინებენ თითოეული აკადემიური საგნის სპეციფიკურ მახასიათებლებს.

სასწავლო გეგმა მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტოლოგიის ყველა ძირითად სფეროს, მათ შორის პოლიტიკურ მეცნიერებას, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, შედარებით პოლიტიკას, დიპლომატიას, საჯარო ადმინისტრირებას, ეკონომიკას, საერთაშორისო სამართლისა და კვლევის მეთოდების ფუნდამენტურ კურსებს. არჩევითი კომპონენტი კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამას ისეთი თანამედროვე და სპეციალიზებული თემების შეთავაზებით, როგორცაა ციფრული დიპლომატია, მწვანე პოლიტიკა და მდგრადი განვითარება, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, საერთაშორისო ტერორიზმი და ომის ეთიკა. პროგრამაში ნიუ ჯერსი სიტის უნივერსიტეტის (POLI- კოდირებული) კურსების ჩართვა მეტად ღირებულია, განსაკუთრებით ამერიკულ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და გლობალურ საკითხებთან მიმართებით, რაც აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო პროფილს და ამართლებს მის ერთობლივ სტრუქტურას. გაეროს ვორქშოფი (POLI 440), რომელიც შემაჯამებელი კურსია, წარმოადგენს პროგრამის ფლაგმანურ კომპონენტს, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად.

და ბოლოს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, როგორც ეს წარმოდგენილია დანართ 1 - ში, მიუთითებს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობასა და თანხვედრის მაღალ ხარისხზე, რაც ადასტურებს, რომ პროგრამა შემუშავებულია სტრუქტურირებული და შედეგზე ორიენტირებული წესით.

ევროპული მიდგომის მე-8 სტანდარტი (გამჭვირვალობა და დოკუმენტაცია) მოითხოვს, რომ „პროგრამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია, როგორცაა პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები, კურსების კატალოგი, გამოცდებისა და შეფასების პროცედურები და ა.შ., ნათლად იყოს დოკუმენტირებული და გამოქვეყნებული მობილობის სტუდენტების კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით“. სილაბუსების ხელმისაწვდომობა, შეფასების კრიტერიუმებითა და ლიტერატურის მითითებით, ხელს უწყობს გამჭვირვალობის ამ სტანდარტის დაცვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი პროგრამისათვის, სადაც სტუდენტები გადაადგილდებიან ორ ინსტიტუციურ გარემოს შორის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o პროგრამის დოკუმენტი (სრული სასწავლო გეგმის ცხრილი კურსის კოდებით, კრედიტებით, სემესტრებით)
- o თვითშეფასების ანგარიში, ნაწილი 1.5
- o სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1) — კურსიდან PLO- მდე შესაბამისობა
- o ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, მუხლები 1.2 და 3.6
- o ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომა, სტანდარტები 2.3, 3.2, 5.1 და 8
- o ადგილზე ვიზიტი

**რეკომენდაციები.**

- o რეკომენდაციები არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o სასურველია, უსდ - მ უნდა უზრუნველყოს, რომ ნიუ ჯერსი სიტი უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი სასწავლო კურსების (მე-3 წელი) სილაბუსები წარმოდგენილი იყოს კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო კურსების ფორმატის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიო მითითებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა ევროპული მიდგომის (სტანდარტი 8) გამჭვირვალობისა და დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, და ორივე ინსტიტუციურ გარემოში სწავლის შედეგების თანმიმდევრული შეფასება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                        | შეფასება               |
|-----------------------------------|------------------------|
| <b>1.5. სასწავლო კურსი/საგანი</b> | <b>შესაბამისობაშია</b> |

## **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა- სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### **2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ- ს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასახავენ მის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს აპლიკანტების მიერ წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ქონას.

დაშვების მთავარი მოთხოვნაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის სავალდებულო გამოცდას. ჩარიცხვის ამ ზოგადი კრიტერიუმის გარდა, გამონაკლისი დადგენილია მხოლოდ კანონის შესაბამისად. კერძოდ, პირებს შეუძლიათ პროგრამაში ჩარიცხვის უფლება მოიპოვონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, თუ მათ შეუძლიათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. ამის დასტურია IELTS- ის 6.0 ქულა, TOEFL- ის 78 ქულა ან სხვა B2 დონის აღიარებული საერთაშორისო სერტიფიკატი. ან, კანდიდატებს შეუძლიათ ჩააბარონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი B2 დონის შესაბამისი ინგლისური ენის გამოცდა.

გარდა ამისა, პროგრამაში მობილობის საფუძველზე ჩარიცხვა დაშვებულია, კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამ წინაპირობების შესახებ ინფორმაცია დადასტურდა პროგრამის დირექტორთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, მრავალჯერადი ინტერვიუს შედეგად. შესაბამისად, წინაპირობები და მიღების პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, ეს მოთხოვნები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან, შინაარსთან, დონესთან, მინიჭებულ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. დაშვების კრიტერიუმები და პროცესები სამართლიანია, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველა აპლიკანტისათვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o ვებ-საიტი;
- o საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტური ნაკადის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- o ადგილზე ვიზიტი.

#### **რეკომენდაციები.**

- o არ არის მითითებული

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არ არის მითითებული

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი  | შეფასება               |
|---|------------------------|
| <b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>   | <b>შესაბამისობაშია</b> |
| <b>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b>   |                        |
| პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში. |                        |

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარების სტანდარტულ მოთხოვნებს. ამ შეფასებას ამყარებს სამი ურთიერთდაკავშირებული მტკიცებულება. პირველი, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები აერთიანებს დარგის სპეციფიკურ ცოდნას ტრანსვერსიულ კომპეტენციებთან, რაც უზრუნველყოფს როგორც აკადემიურ სიზუსტეს, ასევე, დარგის მიღმა გამოყენებადობას. მეორე, გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები აშკარად ორიენტირებულია ამ უნარების პრაქტიკულ გამოყენებაზე, რაც ხელს უწყობს ანალიტიკური, კომუნიკაციური და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას. მესამე, პროგრამის თანამშრომლობითი სტრუქტურა და ინტერნაციონალიზებული სასწავლო გარემო კიდევ უფრო აძლიერებს კომპეტენციებს და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას.

ამ მხრივ, გაეროს ვორქშოფი წარმოადგენს უნარებზე დაფუძნებული სწავლების განსაკუთრებით ეფექტურ მოდელს, რომელიც აერთიანებს სიმულაციას, კვლევას და ჩართულობას პოლიტიკაში.

პროგრამის დოკუმენტაციიდან და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა დამსაქმებელთა კმაყოფილების მაღალი დონე. პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაცია ნაწილობრივ შეზღუდულია საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა სამთავრობო დაწესებულებებში დასაქმების მარეგულირებელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროტოკოლებით. მიუხედავად ამისა, კავკასიის უნივერსიტეტმა პროაქტიულად შეამცირა ეს შეზღუდვები თანამშრომლობის ფორმალური მემორანდუმების შექმნით, რაც სტრუქტურირებულ სტაჟირების შესაძლებლობებს ქმნის პარლამენტში, თავდაცვის სამინისტროში და მასთან დაკავშირებულ საჯარო სექტორის ორგანოებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების შესაძლებლობა მრავალ სექტორში, განსაკუთრებით საჯარო სამსახურში. ამ შედეგს კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის აქცენტი კვლევით კომპეტენციებსა და ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმებზე, მათ შორის დასაქმების ბაზრობებზე. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა (CSO) და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების შედარებით შეზღუდულმა შესაძლებლობებმა შესაძლებელია შეზღუდოს სტუდენტების უფრო ფართო სამოქალაქო და ტრანსნაციონალურ პროფესიულ გარემოსთან ინტეგრაცია.

სტაჟირება ამჟამად კლასიფიცირდება, როგორც ექსტრაკურსული აქტივობა და არ ითვალისწინებს აკადემიურ კრედიტს. ამის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთობლივი ხარისხის მინიჭების ფარგლებში, სტუდენტები სემესტრის განმავლობაში მონაწილეობენ გაეროს შემაჯამებელ ვორქშოფში და ენიჭებათ კრედიტი, რაც თითქმის საბაკალავრო ნაშრომის (5 ECTS) ეკვივალენტურია.

ეს მოდული გულისხმობს სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლების ინტეგრირებას მნიშვნელოვან კვლევით კომპეტენციებთან, მათ შორის პოზიციური ნაშრომის მომზადებასთან, გაეროს სიმულაციურ სავარჯიშოებში მონაწილეობასთან და ორი კვლევითი ნაშრომის შესრულებასთან. პროგრამა შემუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შედეგად, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, ანალიტიკური ცენტრებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. შემუშავების პროცესი მოიცავდა მრავალ ფორმატს, მათ შორის გასაუბრებებს, სტრუქტურირებულ კონსულტაციებს, კითხვარებს და პირისპირ დისკუსიებს. დამატებითმა ჩართულობამ გაეროს ადგილობრივ გუნდთან - UNDP- თან, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, UNICEF-თან და სხვა სააგენტოებთან - უზრუნველყო საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა. დაგეგმილია დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგი, რათა გაგრძელდეს შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე რეაგირება. მიუხედავად ამისა, არსებობს სტაჟირების პორტფოლიოს გაფართოების საჭიროება, სტუდენტების პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობების დივერსიფიკაციის მიზნით.

პროგრამის პროგრესირებასთან ერთად, სულ უფრო მეტი აქცენტი კეთდება მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ბოლო სემესტრებში, პროფესორები მეტად არიან ორიენტირებული პრაქტიკულ კომპონენტებზე, მათ შორის გაეროს სიმულაციებზე, დებატებსა და გამოყენებით სავარჯიშოებზე. სტუდენტები აფასებენ პროფესორებს ყოველ სემესტრში, ანონიმური ონლაინ გამოკითხვების საშუალებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას კონფერენციებში, თუმცა ეს არ ცვლის ფორმალურ სტაჟირებას ან პრაქტიკულ სამუშაოს. უკუკავშირთან დაკავშირებით, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათი ხმა ზოგადად ისმის. მოსაზრებების შესაგროვებლად გამოიყენება დიალოგის სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან და დეკანთან დისკუსიები. ბევრმა სტუდენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროცესებში.

პროგრამის ფარგლებში, შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინება დამატებით დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშში შეტანილი დამსაქმებლების შეფასებებით. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ დამსაქმებლები პროგრამას მიიჩნევენ, როგორც კარგად სტრუქტურირებულს, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და სწავლის შედეგებით და აცხადებენ, რომ უსდ - ს კურსდამთავრებულებთან აქვთ დადებითი მუშაობის გამოცდილება. ამავდროულად, გამოვლინდა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მიმართულება. კერძოდ, დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ციფრული დიპლომატიის კომპონენტის გაძლიერება, მოწინავე ციფრულ კომპეტენციებზე მეტი აქცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ელემენტები სასწავლო გეგმაში არსებობს, ციფრული კომპეტენციების მეტად განვითარება გაზრდის მათ აქტუალობას, სწრაფად განვითარებად პროფესიულ კონტექსტში. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მონაცემთა ანალიზისა და დიპლომატიაში მისი გამოყენების ტრენინგების ჩატარება. ასევე აღინიშნა, რომ ამჟამად დამსაქმებლების ჩართულობა ძირითადად ინდივიდუალურად და არაგეგმიურად ხორციელდება - ელ. ფოსტით და გასაუბრებით, და არა ინსტიტუციონალიზებულ ფორმატში, როგორცაა ფოკუს ჯგუფები ან საკონსულტაციო საბჭოები.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ადგილზე ვიზიტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტების შეფასების ანგარიში;

- o დამსაქმებლების შეფასების ანგარიში;
- o შრომის ბაზრის შესწავლა;
- o შესაბამისი შეთანხმებები/ მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.

**რეკომენდაციები.**

- o არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o სასურველია, უსდ - მ სასწავლო გეგმაში სისტემატურად ასახოს ციფრული დიპლომატიის საკითხები, რომ უკეთ დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნები და გააძლიეროს სტუდენტების ანალიტიკური და სტრატეგიული კომპეტენციები ტექნოლოგიურად მართვად დიპლომატიურ კონტექსტში.
- o სასურველია, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გასაძლიერებლად შემუშავდეს რეგულარული და სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, მაგალითად, პერიოდული ფოკუს ჯგუფები ან ყოველწლიური კონსულტაციები.
- o სასურველია, უსდ - მ პროგრამაში დაამატოს სტრუქტურირებული არჩევითი სტაჟირების კომპონენტი, მაგალითად, ზაფხულში, მეორე და მესამე აკადემიური წლის შუალედში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების ან ნიუ-იორკის/ნიუ-ჯერსის რეგიონში ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის კავშირების მეშვეობით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი   | შეფასება        |
|--|-----------------|
| <u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u> | შესაბამისობაშია |

**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება- სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის/ საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია სწავლების მეთოდების ფართო სპექტრი: ვერბალური/ ზეპირი მეთოდები, ტექსტებთან მუშაობა, წერილობითი სამუშაო, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი

სწავლება, ევრისტიკული მეთოდები, იდეების გენერირება, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და შედარებითი და ისტორიული მეთოდები. თითოეული კურსისთვის სპეციფიკური მეთოდები მითითებულია სილაბუსებში. ეს მეთოდები შეესაბამება დისციპლინას და ზოგადად სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს. ლექციებზე დაფუძნებული და მონაწილეობითი მეთოდების კომბინაცია ადეკვატურია საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის.

სწავლება- სწავლის მეთოდების შეფასება მიუთითებს, რომ პროგრამა დიდწილად შეესაბამება დადგენილ სტანდარტს, რაც აჩვენებს თანმიმდევრულობას პედაგოგიურ მიდგომებს, პროგრამის მიზნებსა და განზრახულ სწავლის შედეგებს შორის.

პირველ რიგში, პროგრამაში ასახული სწავლება - სწავლის მეთოდები შესაბამისად მრავალფეროვანია და აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ასევე, აქტიურ, პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორის დისკუსიასა და დებატებს, ჯგუფურ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), შემთხვევის ანალიზს, მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, პრაქტიკულ მეთოდებს და ელექტრონულ სწავლებას. მეთოდების ეს დიაპაზონი კარგად არის შეხამებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის შინაარსთან, დონესთან და განზრახულ სწავლის შედეგებთან. ის უზრუნველყოფს შესაბამის პედაგოგიურ საფუძველს როგორც დისციპლინური ცოდნის, ასევე, ძირითადი ტრანსფერული კომპეტენციების, მათ შორის ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. ეს თანხვედრა განსაკუთრებით აშკარაა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ცალსახად ხაზს უსვამს ანალიზს, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ აზროვნებას, კომუნიკაციას და პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მხარდაჭერილია პროგრამის დოკუმენტაციაში მითითებული სწავლების მეთოდებით.

მეორეც, პროგრამის სტრუქტურა და კურსების შინაარსი მიუთითებს, რომ სტუდენტების ჩართულობა არა მხოლოდ ფორმალურ დონეზეა ჩადებული, არამედ სასწავლო პროცესის არსებითი მახასიათებლის სახითაც. დისკუსიაზე, დებატებზე, შემთხვევის ანალიზზე, თანამშრომლობით მუშაობასა და პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნებული მეთოდები ხელს უწყობენ როგორც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე თავად სტუდენტებს შორის მნიშვნელოვან ურთიერთქმედებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ კურსებს, როგორცაა „გაერთიანებული ერები და გლობალური პოლიტიკა“ და „გაერთიანებული ერების სემინარი“, რომელთა ფორმატები აშკარად ორიენტირებულია მონაწილეობით, სიმულაციაზე დაფუძნებულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. ეს კომპონენტები განსაკუთრებით აქტუალურია პროგრამის პროფილისთვის და შეესაბამება მის განცხადებულ მიზანს, რომელიც პრაქტიკაზე ორიენტირებული და გულისხმობს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას.

პროგრამა ასევე აჩვენებს პოზიტიურ მიდგომას სტუდენტის ავტონომიისა და პასუხისმგებლობის განვითარების მიმართ. მისი სწავლის შედეგები ცალსახად ეხება ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას ეთიკური ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად. ეს კიდევ უფრო გამყარებულია სწავლების ისეთი მეთოდებით, როგორცაა მართული კითხვა, კვლევითი დავალებები, პრეზენტაციები, დამოუკიდებელი სწავლა და პრობლემებზე დაფუძნებული

სწავლება, რომლებიც მოითხოვს სტუდენტებისგან აქტიური პასუხისმგებლობის აღებას საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. პროგრამის სასწავლო დატვირთვის განაწილება დამატებით ამყარებს ამ შეფასებას, რადგან დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს სტუდენტის საერთო ძალისხმევის მნიშვნელოვან კომპონენტს.

მეთოდოლოგიური მოქნილობის თვალსაზრისით, პროგრამა მიუთითებს, რომ სწავლება - სწავლის მეთოდები ერთმანეთს უნდა ავსებდეს და ინდივიდუალური სილაბუსების მეშვეობით მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკურ ბუნებას. ასევე, მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შემუშავდეს სტუდენტების ინტერესებსა და აკადემიურ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ეს ითვალისწინებს შესაბამისი კრიტერიუმის დაცვას. ამავდროულად, არსებული დოკუმენტაცია საკმარისად დეტალურად არ აჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ეს პრინციპი პრაქტიკაში, განსაკუთრებით აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ან საერთაშორისო სტუდენტების კულტურული და აკადემიური ადაპტაციის თვალსაზრისით. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოქნილობის პრინციპი აარსებობს, მისი პრაქტიკული განხორციელება უფრო ნათლად შეიძლება იყოს დოკუმენტირებული.

ელექტრონული და დისტანციური სწავლების თვალსაზრისით, პროგრამა, როგორც ჩანს, აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს. დოკუმენტაციაში პირდაპირ არის მითითებული ელექტრონული სწავლება, ხოლო ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა - მათ შორის ელექტრონული შეფასების სისტემა, ციფრული პლატფორმები, კომპიუტერული ლაბორატორიები, Wi-Fi წვდომა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა - უზრუნველყოფს ადეკვატურ მატერიალურ საფუძველს.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია უზრუნველყოს სწავლის უწყვეტობა ელექტრონულ ან დისტანციურ ფორმატებში პროგრამის მიზნების ან მოსალოდნელი სწავლის შედეგების შეცვლის გარეშე. მიუხედავად ამისა, არგუმენტები უფრო მყარი იქნებოდა, თუ უფრო კონკრეტული მაგალითები იქნებოდა წარმოდგენილი ონლაინ ან ჰიბრიდული სწავლების განხორციელებისას პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებში, როგორცაა დებატები, სიმულაციები და ჯგუფური დავალებები.

ეს დასკვნები კიდევ უფრო დადასტურდა პროგრამის მენეჯმენტთან და აკადემიურ პერსონალთან, ასევე, შესაბამისი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს. საერთო ჯამში, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სწავლება - სწავლის მეთოდები ზოგადად შეესაბამება პროგრამის დონეს, შინაარსს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს და რომ ისინი ხელს უწყობენ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, ურთიერთქმედებას, ავტონომიას და ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარებას. ამავდროულად, ზოგიერთი ასპექტი, განსაკუთრებით ინდივიდუალური მხარდაჭერის პრაქტიკული განხორციელება და მოქნილი მეთოდების გამოყენება სხვადასხვა სტუდენტურ კონტექსტში, მომგებიანი იქნებოდა აკრედიტაციის მასალებში უფრო მკაფიო დოკუმენტირებისა და სისტემატური დემონსტრირების მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o სწავლება-სწავლის მეთოდები;
- o უსდ- ში პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები;
- o ადგილზე ვიზიტი.

**რეკომენდაციები.**

- o არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს მოკლე პედაგოგიური ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება, თუ როგორ ხორციელდება სწავლება-სწავლის მიდგომების კოორდინაცია კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის, პედაგოგიური მიდგომების განსხვავებების მითითებით და ამავდროულად, სტუდენტის გამოცდილების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი                            | შეფასება               |
|---------------------------------------|------------------------|
| <b>2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</b> | <b>შესაბამისობაშია</b> |

**2.4. სტუდენტის შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ისინი გამჭვირვალე, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასების სისტემა შემუშავებული და დანერგულია როგორც საქართველოს აკრედიტაციის სტანდარტების, ასევე, ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის მოთხოვნების სრული დაცვით. სტუდენტების ჩართულობა უზრუნველყოფილია უწყვეტი მონიტორინგისა და შეფასების პროცესით, რაც პრიორიტეტულია.

სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს. პროცესი ხორციელდება დადგენილი რეგულაციების დაცვით, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მიმართ თანაბარ მიდგომას, შეფასების გამჭვირვალობას და მიღებული შედეგების მაღალ სანდოობას. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების შესახებ; ეს ინფორმაცია ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების საფუძველზე. საბოლოო შეფასება განისაზღვრება ამ ორი კომპონენტის ჯამით. შუალედური შეფასება მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს (დავალბებები, ტესტირება, პრაქტიკა), რომელთა წონა და კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული სილაბუსში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შეფასება ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, ვალიდურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. სწავლის შედეგების გაზომვა ხორციელდება მრავალკომპონენტური სისტემის მეშვეობით, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვრები დგინდება როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი ეტაპებისთვის. კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დეტალურად არის გაწერილი სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია ელექტრონული სწავლების მართვის პლატფორმაზე. ლექტორი ვალდებულია შეაფასოს შუალედური / დასკვნითი გამოცდის ნაშრომები მათი ჩაბარებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ორ ძირითად ფორმას ეფუძნება: შემაჯამებელს და განმავითარებელს. შემაჯამებელი შეფასება ორიენტირებულია სწავლის ხარისხის კონტროლსა და კურსის მიზნებთან შესაბამისობის დადგენაზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური მოსწრების დოკუმენტირებას. თავის მხრივ, განმავითარებელი შეფასება ემსახურება სტუდენტების პროგრესს და ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით ხელს უწყობს მათი პოტენციალის რეალიზებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დამატებითი გამოცდაზე მიღებული ქულა ცვლის საბოლოო გამოცდის შედეგს და პირდაპირ აისახება საბოლოო შეფასებაში. სტუდენტს ენიჭება დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება, თუ ის ვერ გადალახავს საბოლოო შეფასების მინიმალურ ზღვარს, შედეგების გამოქვეყნებიდან მინიმუმ 5 დღის ინტერვალით. აღსანიშნავია, რომ თუ სტუდენტის ჯამური ქულა 51-ზე ნაკლებია, ან თუ ის ვერ გადალახავს რომელიმე კომპონენტის ზღვარს, მას ენიჭება შეფასება F-0.

სტუდენტს შუალედური და/ ან დასკვნითი გამოცდის ხელახლა ჩაბარების უფლება შეიძლება მიენიჭოს დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არყოფნა საპატიო მიზეზით მოხდა. შუალედური/ დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია შეავსოს ელექტრონული განაცხადი ხელახალი ჩაბარებისთვის იმავე დღეს ან არყოფნიდან არაუგვიანეს 72 საათისა, რომელიც ავტომატურად იგზავნება დეპარტამენტში. საპატიოდ ჩათვლის მიზნით არყოფნის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/ ცნობა შეიძლება აიტვირთოს ელექტრონულ განაცხადთან ერთად ან წარედგინოს დეპარტამენტს გამოცდის თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. სტუდენტის შუალედური/ საბოლოო გამოცდიდან გაცდენა შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ მხოლოდ შემდეგ გადაუდებელ შემთხვევებში: ავადმყოფობა (რაც უნდა დადასტურდეს სამედიცინო ცნობით/ ფორმა 100 - ით ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ გაცემული დოკუმენტით და დოკუმენტის ვადა უნდა ემთხვეოდეს ან მოიცავდეს გამოცდის გაცდენის თარიღს), სამსახურებრივი მივლინება, ქორწინება,

საქორწინო ცერემონია, უბედური შემთხვევა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება ან სხვა შემთხვევა, რომლის საფუძვლიანობა შეიძლება ინდივიდუალურად შეფასდეს დეპარტამენტის მიერ.

ლექტორი ვალდებულია გააცნოს სტუდენტებს შუალედური/ საბოლოო გამოცდის შედეგები და უზრუნველყოს ისინი განმავითარებელი შეფასებით; დეპარტამენტი ვალდებულია გააცნოს სტუდენტებს შუალედური/ საბოლოო გამოცდის შედეგები მიღებისთანავე, მათი უნივერსიტეტის ვებსაიტზე ელექტრონულ შეფასებების მონაცემთა ბაზაში ასახვით.

შუალედური / საბოლოო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება და მოითხოვოს შეფასებული ნაშრომის გადახედვა. გამოცდის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, სტუდენტი წარადგენს განაცხადს ადმინისტრირებისა და მონიტორინგის ვიცე-პრეზიდენტის სახელზე, სადაც დასაბუთებულად აღწერს იმ კონკრეტულ ნაწილებს, რომლებშიც არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას. განაცხადზე გადის დასაშვებობის ეტაპს მისი მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. თუ განაცხადი წარმატებით გაივლის დასაშვებობის ეტაპს, სტუდენტის განაცხადი და საგამოცდო ნაშრომი გადაეგზავნება ლექტორს განაცხადის წარდგენიდან მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ნაშრომის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში ლექტორი წარადგენს ანგარიშს, რომელშიც არგუმენტირებული პასუხია მოცემული სტუდენტის განაცხადზე და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის შეფასებას. ლექტორის გადაწყვეტილებას დეპარტამენტი სტუდენტს აცნობებს იმავე დღეს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება ლექტორის გადაწყვეტილებას მის საჩივართან დაკავშირებით, მან ერთი სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართოს ადმინისტრირებისა და მონიტორინგის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც განაცხადის შეტანიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შექმნის კომისიას. კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს შემდეგი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს: უცვლელად ტოვებს საგნის ლექტორის შეფასებას ან ცვლის საგნის ლექტორის შეფასებას.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და აისახება ელექტრონულ შეფასების მონაცემთა ბაზაში, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

ამასთან, გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ ელექტრონული პორტალი ფუნქციონირებს შეუფერხებლად. გარდა ამისა, სტუდენტების შეფასების პროცესი ეფუძნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედ აკადემიურ და კვლევით ეთიკის სტანდარტებს. პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნებისა და პლაგიატიზმის პრევენციის კომპლექსური მექანიზმები, რაც მოიცავს დარღვევების დროულ გამოვლენას და მათზე შესაბამის რეაგირებას.

პარტნიორი დაწესებულებების მიერ პოტენციურად განსხვავებული შეფასებისა და კრედიტების სისტემების მქონე ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების კონტექსტში, აუცილებელია ნიშნების ეკვივალენტობისა და კრედიტების ტრანსფერისადმი მკაფიო და გამჭვირვალე მიდგომა. სამართლიანობის, თანმიმდევრულობისა და სტუდენტების გაგების უზრუნველსაყოფად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) უნდა შეიმუშაოს და ხელმისაწვდომი გახადოს ნიშნების ეკვივალენტობის ყოვლისმომცველი ცხრილი და კრედიტების ტრანსფერის პროტოკოლი.

ამ დოკუმენტებში ნათლად უნდა იყოს ახსნილი, თუ როგორ გარდაიქმნება ერთ პარტნიორ დაწესებულებაში (მაგ., კავკასიის უნივერსიტეტში) მინიჭებული შეფასებები პარტნიორი დაწესებულების (მაგ., ნიუ ჯერსი სიტის უნივერსიტეტის) შეფასების სისტემაში და პირიქით. ანალოგიურად, კრედიტების გადაცემის პროტოკოლში უნდა იყოს ასახული, თუ როგორ ხდება პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება და დაგროვება სხვადასხვა დაწესებულებებში.

ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომ და კარგად დოკუმენტირებული ფორმატით მიწოდება ეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიგონ თავიანთი აკადემიური პროგრესი, უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ერთობლივი პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესაბამისად.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- დებულება გამოცდების ჩატარების შესახებ;
- აკადემიური წერის სტილის სახელმძღვანელო;
- კვლევის ეთიკის პოლიტიკის დებულება;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვებ-საიტი;
- ადგილზე ვიზიტი.

#### **რეკომენდაციები.**

- o არ არის მითითებული

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს ქულების ეკვივალენტობის მკაფიო ცხრილი და კრედიტების ტრანსფერის წესი, რომელიც დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის და რომელშიც განმარტებული იქნება, თუ როგორ ხდება კავკასიის უნივერსიტეტში დაგროვილი ქულების აღიარება ნიუ ჯერსი სიტი უნივერსიტეტის ნიშნების ფურცელში და პირიქით.

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

**2.4. სტუდენტის  
შეფასება****შესაბამისობაშია****3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები**

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია, თუ რა მხარდაჭერას მიიღებენ სტუდენტები კავკასიის უნივერსიტეტში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტის, დეკანატის, აკადემიური პროცესების მართვის ოფისის, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მეშვეობით. სტუდენტებს აქვთ პირადი ონლაინ სივრცე - სწავლის მართვის სისტემასადაც წვდომა აქვთ გრაფიკებზე, შეფასებებსა და ლექტორების საკონტაქტო ინფორმაციაზე. უზრუნველყოფილია ყოველკვირეული ინდივიდუალური კონსულტაციები ლექტორებთან. უნივერსიტეტში სტუდენტური საკონსულტაციო და დამხმარე სერვისების სტრუქტურა და ფუნქციონირება სრულად შეესაბამება როგორც საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს, ასევე, ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ მიდგომას.

უნივერსიტეტი აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს სრული ინფორმაცია პროგრამის შინაარსის, კვალიფიკაციის, სწავლების მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ. ასევე, იგი იძლევა დეტალურ ინფორმაციას კრედიტების დაგროვებისა და შეფასების სისტემის შესახებ.

ახლად ჩარიცხული, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართველი სტუდენტების აკადემიური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, იმართება საორიენტაციო შეხვედრები, სადაც ისინი ეცნობიან საგანმანათლებლო პროცესის ძირითად ასპექტებს. სკოლის დეკანის მიერ წარმოდგენილი პროგრამის პრეზენტაციით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დეტალურად გაიგონ კურსის შინაარსი და დაამყარონ კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან, რაც ხელს უწყობს მათ ეფექტურ ადაპტაციას

საუნივერსიტეტო გარემოში. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზადაა დაეხმაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან აკადემიური მომზადების განსხვავებული დონის მქონე სტუდენტებს. ასეთ შემთხვევებში, იქმნება პერსონალიზებული სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია კონკრეტული სტუდენტის შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით ათვისება.

უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახური, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას. ამ მიზნის მისაღწევად, სამსახური პერიოდულად ატარებს სემინარებსა და მასტერკლასებს, სადაც სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ უნარებს, როგორცაა რეზიუმეს მომზადება და გასაუბრების წარმატებით გავლა. სამსახური მუდმივად გეგმავს წამყვანი ორგანიზაციებისა და სააგენტოების ვიზიტებს უნივერსიტეტში, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა კომპანიის მიერ პროექტების განხორციელებას და სტაჟირების, სტიპენდიებისა და სხვა წამახალისებელი პროგრამების შემუშავებას. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ორგანიზებულია კარიერული ფორუმები, სადაც სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას და აქტიურ ჩართულობას. გარდა ამისა, დამსაქმებლების მოთხოვნებისა და სკოლის დეკანატისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სამსახური გასცემს რეკომენდაციებს სტუდენტებისთვის, ოპერატიულად აწვდის მათ ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ და კოორდინაციას უწევს დასაქმებისთვის საჭირო ყველა პროცედურას.

სტუდენტების მხარდაჭერისა და კონსულტირების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური „ომბუდსმენის“ ოფისი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით. ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მისი დანაყოფების ფუნქციების შესახებ, ასევე, აცნობს მათ უნივერსიტეტის მისიას, შიდა გრანტებს და გაცვლით ან მობილობის პროგრამებს. „ომბუდსმენის“ თანამშრომლები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას ფინანსური რეგულაციებისა და ეთიკის ნორმების შესახებ. გარდა ამისა, ოფისი სტუდენტებს კონსულტაციებს უწევს სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურებთან, ასევე, კრედიტების დაგროვებისა და გადატანის წესებთან დაკავშირებით. „ომბუდსმენის“ როლი მნიშვნელოვანია სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განმარტებაში, რაც გულისხმობს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას როგორც უნივერსიტეტის რეგულაციების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესახებ.

სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. ეს მოიცავს მონაწილეობას საშემსრულებლო- შემოქმედებით აქტივობებში, სამეცნიერო კონფერენციებსა და შესაბამის დონეზე აკადემიურ კვლევებში. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო მობილობის პროგრამები, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მიერ ამ შესაძლებლობების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და მათი ჩართულობის ეფექტურობა დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუებით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რიგი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას იღებენ როგორც შიდა ელექტრონული

ფოსტით, ასევე უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან. თუმცა, ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდებოდა ელექტრონული ფოსტით და ყველა სტუდენტისთვის ეს დიდად საინტერესო არ იყო. ზოგიერთი სტუდენტი კარიერულ სამსახურს აფასებს, როგორც შედარებით პასიურს, რადგან კომუნიკაციას ძირითადად ელექტრონული ფოსტით ახორციელებს (კარიერასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის სამუშაო შესაძლებლობები, ძირითადად ელექტრონული ფოსტით ზიარდება) და შესაძლოა უფრო მომგებიანი გახდეს პროაქტიული და დივერსიფიცირებული ჩართულობის ფორმატების გამოყენებით. სტაჟირებისა და დამსაქმებელთან პირდაპირი კავშირების ხელშეწყობის უფრო აქტიური როლი კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის პრაქტიკულ ასპექტს. გარდა ამისა, კარიერული სამსახურის ხილვადობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობდა სტუდენტებთან უფრო ხშირ ურთიერთობას. საერთო ჯამში, უფრო სტრატეგიული და პროაქტიული მიდგომა მეტად შეუწყობდა ხელს სტუდენტების აკადემიური სფეროდან შრომის ბაზარზე გადასვლას.

გასაუბრების დროს ასევე გაირკვა პარტნიორი დაწესებულების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერა. სტუდენტები ისარგებლებენ ნიუ ჯერსი სიტის უნივერსიტეტის ყველა რესურსით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კავკასიის უნივერსიტეტის წესდება;
- ომბუდსმენის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დამსაქმებელთან დადებული მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაკავშირებული პროგრამების სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესახებ;
- სტუდენტური მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვებ-საიტი;
- ადგილზე ვიზიტი.

#### **რეკომენდაციები.**

არ არის მითითებული

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o სასურველია, უსდ - ს კარიერული განვითარების ცენტრმა დანერგოს ჩართულობის უფრო სტრუქტურირებული და პროაქტიული მიდგომა რეგულარული, კარგად ორგანიზებული აქტივობების გამოყენებით, როგორცაა კარიერული სემინარები, დამსაქმებელთა ქსელების ღონისძიებები და თემატური პანელური დისკუსიები. გარდა ამისა, ელექტრონული ფოსტის მიღმა უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს დამატებითი საკომუნიკაციო არხები, როგორცაა ინტერაქტიული პლატფორმები, მენტორობის სქემები და ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციები.

- o სასურველია, უსდ - მ ჩაატაროს შრომის ბაზრის საჭიროებების და მოთხოვნების უფრო ხშირი ანალიზი და შემუშავოს პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი) უწყვეტი კომუნიკაციის მექანიზმი სულ მცირე წელიწადში ერთხელ, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტები შესაბამისი ინფორმაციით.
- o სასურველია, უსდ - მ შეიმუშაოს ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში მესამე წელს სწავლის გაგარძელების დამხმარე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ვიზის/იმიგრაციის, საცხოვრებლის, პარტნიორ დაწესებულებაში ორიენტაციის, მიმდინარე პასტორალური მხარდაჭერის მექანიზმები და ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ ყოფნისას.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი  | შეფასება               |
|---|------------------------|
| <b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</b> | <b>შესაბამისობაშია</b> |

### 3.2. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მაგისტრანტის სათანადო მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელების საშუალებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

| მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები     |  |
|--|--|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა                |  |
| მაგისტრანტების რაოდენობა                                       |  |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა |  |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი  | შეფასება           |
|---|--------------------|
| <u>3.2.</u><br><u>მაგისტრანტების</u><br><u>ხელმძღვანელობა</u> | აირჩიეთ შესაბამისი |

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოთქმისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

